ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

26.06.14 №125

თბილისი

სტუ-ს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2014 წლის 18 ივნისის №02.02.2/34 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრული პირობებით.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს ბრძანების გამოცემის დღიდან და დასრულდეს 2014 წლის 30 ივნისს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილი სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში. (მის: აკურის ქ.№8 ტელ: 2 33 24 38), 10 საათიდან – 16 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი ჩატარდეს 2014 წლის 1 ივლისს, შედეგები გამოცხადდეს 2014 წლის 2 ივლისს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიცილურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი #1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. გამოთვლითი მეთოდების განყოფილება.
   - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (2.5 საშტატო ერთეული),
   - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1.5 საშტატო ერთეული),
   - მეცნიერ-თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული).

2. ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილება
   - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული).

3. ინფორმატიკის განყოფილება.
   - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული),
   - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული),
   - მეცნიერ-თანამშრომელი (1 (0.5+0.5) საშტატო ერთეული).

4. მათემატიკური მოდელირების განყოფილება.
   - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული),
   - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული),
   - მეცნიერ-თანამშრომელი (1 საშტატო ერთეული).

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
3. ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (დამოწმებული);
5. სამეცნიერო გრანტებისა და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა მასალები (სასურველია).

კონკურსში მონაწილეობისთვის **აუცილებელია** საბუთების წარმოდგენა **ბეჭდური ფორმით.**

ყველა კონკურსანტი **ვალდებულია** საბუთების **ბეჭდურ ფორმებთან ერთად ელექტრონული ფორმით** წარმოადგინოს: კალენდარული ავტობიოგრაფია (CV); გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი; შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა. ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული დისკით, ან გაიგზავნოს მისამართზე compmathge@gmail.com